ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001794120
26/03/2020 წ.

5001794120

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ქ.ნ. თამარ
გაბუნიას

ქ.ნ თამარ,

გაცნობებთ, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საქმიანობის სფეროში შედის სხვადასხვა სახის ექსპერტიზების, მათ შორის სასამართლო-სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზების წარმოება. აღნიშნული ექსპერტიზების ფარგლებში ხდება გვამების, ცოცხალი პირების და ბიოლოგიური მასალის(მათ შორის, სისხლის და სხვა ბიოლოგიური სითხეების) გამოკვლევა, გამოძიებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მიზნით. ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში, პერსონალის ინფიცირების თავიდან აცილების და დაავადების გავრცელების პრევენციისათვის, გთხოვთ მოგვაწოდოთ რეკომენდაციები SARS-CoV-2-ით ინფიცირების დადასტურებულ ან საეჭვო შემთხვევებში, ექსპერტიზების წარმოების პროცესში გვამების აუტოფსიასთან და სხვა სახის ექსპერტიზების წარმოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ინტერესის სფეროს წარმოადგენს დასაცავი უსაფრთხოების ზომები - გვამების გამოსაკვლევი სასექციო ოთახის მიმართ ტექნიკური მოთხოვნების, პერსონალის აღჭურვილობის, შინაგანი ორგანოების/ქსოვილების მაკროსკოპული და ლაბორატორიული კვლევის (მიკრომორფოლოგიური, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური) და შენახვის/განადგურების, სისხლის/ლოყის ნაცხის კვლევის (სეროლოგია/დნმ, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური) და შენახვის/განადგურების, ნივთმტკიცებების ბიოლოგიური მასალით-კვლევის და შენახვის, ხანდაზმული ვადით დაარქივების, გვამების მიღების, ტრანსპორტირების და შენახვის პირობებთან დაკავშირებით. წინასწარ გიხდით მადლობას, გაწეული დახმარებისთვის.

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი
ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

5001794120

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი _____ (ხელმოწერა) ბ.ა